პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 209 (6264)
1978 წ.
24 ოქტომბერი,
სამშაბათი
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

41 სსრკ ჩემპიონატი

## დამაჯერებელი გამარჯვება

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 23 ოქტომბერი. „დინამო" (თბილისი) — ცსკა — 4:1 (3:1).

„დინამო": გოგია (გაბელია), კოსტავა, კანთელაძე, ჩივაძე, გ. მაჩაიძე (სულაქველიძე), დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

ცსკა: ნოვიკოვი, საუზი, შევცოვი, ნიკოლაენკო, ოლშანსკი, გრიგორიევი, ჩესნოკოვი, კუხლევსკი (ბელენკოვი), ტარხანოვი, პოგორელოვი, პეტროსიანი.

მსაჯი: ს. სტროევი (მინსკი).

დუბლიორები — 0:3.

გაფრთხილებული არიან გრიგორიევი და კანთელაძე.

ამ გუნდების პირველი წრის მატჩში გამარჯვების შემთხვევაში მოსკოველი არმიელები, როგორც ჟურნალისტები ამბობენ, ლიდერის მაისურს ჩამოართმევდნენ თბილისელ დინამოელებს, რადგან მათ მხოლოდ ერთი ქულა აშორებდათ ერთმანეთს გათამაშების ცხრილში. როგორც იცით, პირიქით მოხდა და მას შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის გუნდს არ დაუთმია წამყვანი პოზიციები, მაშინ, როცა ცსკა-მ მომდევნო ტურებში წარუმატებლად ითამაშა და ჩემპიონატის საფინიშო სწორზე გათამაშების ცხრილის შუაგულში დაიმკვიდრა ადგილი.

ამიტომ გუშინდელი მატჩის შედეგს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მხოლოდ თბილისელებისთვის: 2 ქულის მოხვეჭის შემთხვევაში თბილისის „დინამო" ჩემპიონობის უკვე რეალური პრეტენდენტი ხდებოდა.

მატჩის წინ წამოსულმა წვიმამ ცოტა არ იყოს შეაშფოთა ფეხბურთის გულშემატკივრები. შეშფოთება საფუძველს მოკლებული არ იყო: რა დასამალია და დინამოელებს უჭირთ სველ გრუნტზე თამაში. მაგრამ დაიწყო თუ არა მატჩი გულშემატკივართა ეჭვი სრულიად გააქარწყლეს თბილისელმა ფეხბურთელებმა. მათ თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და იგი თამაშის ბოლომდე ხელიდან არ გაუშვიათ. „დინამოს" აშკარა უპირატესობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ პირველი ოცი წუთის განმავლობაში მათ 3-ჯერ აიძულეს არმიელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. ჯერ იყო და მე-2 წუთზე გ. მაჩაიძის ოსტატური ჩაწოდება ცსკა-ს კარის გასწვრივ კარგად გამოიყენა შენგელიამ, შემდეგ დარასელიამ (მე-9 წუთი) და ქორიძემ (მე-20) 3-მდე გაზარდეს ანგარიში. შესვენებამდე სტუმრებმა შეძლეს მხოლოდ ერთი გოლის გაქვითვა (პოგორელოვი).

მეორე ტაიმში მდგომარეობა უფრო დაიძაბა, მაგრამ მაინც აშკარა იყო თბილისელთა როგორც ტექნიკური, ისე ტაქტიკური უპირატესობა. დინამოელთა გამარჯვებას წერტილი დაუსვა გუცაევის ზოლო რეიდმა, რომელიც მოსკოველთა კარის აღებით დამთავრდა — 4:1.

ცსკა-სთან მატჩში მასპინძლებმა აჩვენეს მაღალი დონის თამაში და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს.

ზ. ჯანდიერი.

## სუპერლიგა ცივა

21, 22, 23 ოქტომბერს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 27-ე ტურის კალენდარული შეხვედრები:

„ლოკომოტივი" — „შახტიორი" 2:0.

„სპარტაკი" — „ნეფთჩი" 5:1.

„ქაირათი" — „ზარია" 2:1.

„ფახთაქორი" — „დინამო მ. 0:0.

„დნეპრი" — „ზენიტი" 2:1.

„ტორპედო" — „ჩერნომორეცი" 2:2.

„დინამო" კ — „არარატი" 3:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" თბ. | 27 | 17 | 6 | 4 | 43—21 | 40 |
| „დინამო" კ. | 27 | 13 | 8 | 6 | 37—19 | 34 |
| „დინამო" მ. | 27 | 13 | 8 | 6 | 33—21 | 34 |
| „შახტიორი" | 27 | 14 | 5 | 8 | 36—28 | 33 |
| „ჩერნომორ". | 27 | 11 | 10 | 6 | 37—23 | 30 |
| „ტორპედო" | 27 | 11 | 10 | 6 | 32—23 | 30 |
| „სპარტაკი" | 27 | 12 | 5 | 10 | 39—31 | 29 |
| ცსკა | 27 | 11 | 4 | 12 | 31—38 | 26 |
| „ფახთაქორი" | 27 | 9 | 7 | 11 | 39—38 | 25 |
| „ქაირათი" | 27 | 9 | 7 | 11 | 29—35 | 25 |
| „ზენიტი" | 27 | 8 | 8 | 11 | 30—40 | 24 |
| „ნეფთჩი" | 27 | 8 | 6 | 13 | 27—36 | 22 |
| „ზარია" | 27 | 7 | 7 | 13 | 33—41 | 21 |
| „ლოკომოტ." | 27 | 6 | 8 | 13 | 25—39 | 20 |
| „არარატი" | 27 | 7 | 4 | 16 | 16—39 | 18 |
| „დნეპრი" | 27 | 7 | 3 | 17 | 22—37 | 17 |



## ფარიკაობა




## ჩემპიონატის ალამი დაეშვა

ჭაბუკებისა და ქალიშვილების საუწყებო პირად-გუნდური საკავშირო პირველობის ბოლო დღე დაშნით მოფარიკავეებს დაეთმოთ.

პირად პირველობაში 80 სპორტსმენი გამოვიდა სარბიელზე. მათ შორის 8 ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მათგან 16 უძლიერესს შორის ვერც ერთი ვერ მოხვდა.

წინასწარი შეხვედრების შემდეგ ოქროს მაძიებელთა რიგებში ადგილები დაიკავშნეს ს. ალენინმა, ა. ინდიევმა (ორივე — „დინამო"), ვ. გირნიკმა, მ. ტიშკომ (ორივე — „ბურევესტნიკი"), ბ. ვაქსმანმა („ავანგარდი") და მ. გულბერმა (შეიარაღებული ძალები).

ფინალურ ექვსეულში ყველაზე უკეთ იასპარეზა ოდესელმა სპორტსმენმა ვაქსმანმა, რომელმაც ჩემპიონის ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი (მან ოქროს მედალი მიიღო გუნდური პირველობისთვისაც). II საპრიზო ადგილზე გულბერი გავიდა, III ადგილი გირნიკს ხვდა წილად.

დაძაბულად წარიმართა გუნდური შეჯიბრებაც: რვა კოლექტივიდან ოთხმა უძლიერესმა — „დინამომ", „ბურევესტნიკმა", „ავანგარდმა" და შეიარაღებული ძალების გუნდმა ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. აქ, ყველასაგან მოულოდნელად, უკრაინის „ავანგარდის" მოფარიკავეებმა იოლად სძლიეს ისეთ ძლიერ მოწინააღმდეგეებს, როგორიც „დინამო" და „ბურევესტნიკია", ხოლო ერთი ბრძოლა დათმეს შეიარაღებული ძალების მოფარიკავეებთან. უკრაინელ სპორტსმენებთან ერთად 4-4 ქულა დაუგროვდათ შეიარაღებული ძალებისა და „დინამოს" გუნდებს. მოგება-წაგებათა შეფარდებამ ჩემპიონის სახელი ავანგარდელებს არგუნა. მომდევნო ადგილებზე შესაბამისად არმიელები და დინამოელები გავიდნენ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში 508 ქულით „დინამოს" კოლექტივმა ჩემპიონის სახელი შეინარჩუნა. 493,5 ქულით შეიარაღებული ძალების გუნდმა II საპრიზო ადგილი გაინაღდა, III ადგილზე გასულმა ბურევესტნიკელებმა 339,5 ქულის მოგროვება შეძლეს.

საკავშირო საუწყებო პირად-გუნდური პირველობა, რომელიც ლენინური კომკავშირის იუბილეს მიეძღვნა, საზეიმოდ დაიხურა.

შეჯიბრების შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ ასპარეზობის მთავარ მსაჯს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს შოთა დარასელიას.

— **პირველობამ მაღალ დონეზე ჩაიარა — გვითხრა მან. — იგი ახალგაზრდებს შორის მსოფლიო პირველობისთვის მზადებისა და საბჭოთა ნაკრებისთვის კანდიდატების შერჩევის ერთ-ერთი ეტაპი იყო. ასპარეზობამ იმედი გაამართლა — მან ბევრი ახალი სახელი წარმოაჩინა, მათ შორისაა რესპუბლიკური სპორტსკოლა ინტერნატის მოსწავლე ვლადიმერ აფციაური, რომელსაც სიმონ აჯიმამედოვი და მალხაზ გაბუნია წვრთნიან. მის გამარჯვებაში არანაკლები დამსახურება მიუძღვის მის პირველ მასწავლებელს რევაზ მაჭარაშვილს. ვლადიმერი ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ჩაირიცხა. მსოფლიო ჩემპიონატამდე, რომელიც გაისად გაიმართება, მას მრავალ შეჯიბრებაში მოუწევს გამოსვლა, რომლებშიც უნდა დაამტკიცოს, რომ ნაკრების ღირსეული კანდიდატია.**

რადგან სიტყვა ჩვენს სპორტსმენებზე ჩამოვარდა, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ამგვარ პირველობებში საქართველოს ამდენი წარმომადგენელი არასდროს ჰყოლია. ბევრმა მათგანმა პირველად მიიღო ნათლობა დიდ სპორტში. რაც შეეხებათ ვლადიმერ გოქაძეს, გოგი გელაშვილს, ტატიანა გერასიმოვიჩს, ელისო მარსაგიშვილს, ანა დარბაისელს, ლეილა ბერიკაშვილს (ყველა — რაპირა), გიორგი ჯილაურს (დაშნა), გიორგი პაიჭაძეს (ხმალი) და სხვებს, მათგან მეტს მოველოდით...

ჩვენი სტუმრებიდან, განსაკუთრებული ქების ღირსნი არიან ავანგარდელი მოფარიკავეები, რომლებმაც პირველობაზე სამი ოქროს მედალი (ორი — პირადში და ერთი გუნდურში) დაისაკუთრეს. კარგად გამოვიდნენ დინამოელი სპორტსმენები, რომლებიც კვლავ უძლეველნი აღმოჩნდნენ და საერთო გუნდური პირველი ადგილიც შეინარჩუნეს.

ვ. დანელია.

* * *

სურათზე: ვ. აფციაური.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## ნოემბრის ბოლოს, ვილნიუსში...

კალათბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონი — მოსკოვის ოლქის „სპარტაკი" დაუმარცხებლად იბრძვის მიმდინარე გათამაშებაში. მორიგ ტურებში მან ანგარიშით 87:74 (45:38) სძლია ვილნიუსის „კიბირკშტისს" და 97:80 (46:42) — ლენინგრადის „სპარტაკს".

ლენინგრადში გამართული სხვა მატჩები ასეთი შედეგებით დამთავრდა: ნოვოსიბირსკის „დინამო" — დნეპროპეტროვსკის „სტალი" — 81:73 (36:30), „სპარტაკი" — „ბურევესტნიკი" (ორივე — ლენინგრადი) — 108:70 (57:30), „კიბირკშტისი" — „სტალი" — 79:50 (37:30), „დინამო" — „ბურევესტნიკი" — 71:64 (36:27).

სენსაცია მოხდა ალმა-ათაში, სადაც ქვეყნის 17-გზის ჩემპიონმა რიგის ტტტ-მ წააგო მოსკოვის „დინამოსთან" — 54:59 (37:32). ამ ჯგუფში დაუმარცხებლად მხოლოდ მოსკოვის „დინამო" იბრძვის.

აი, ყაზახეთის დედაქალაქის ტურნირის დანარჩენი შედეგები: ალმა-ათის „უნივერსიტეტი" — სვერდლოვსკის „ურალმაში" — 97:84 (57:42), ცსკა — კიევის „დინამო" — 88:73 (42:37), ტტტ — ცსკა — 84:60 (37:26), მოსკოვის „დინამო" — „ურალმაში" — 79:67 (43:33), „უნივერსიტეტი" — კიევის „დინამო" — 83:75 (47:41).

პირველი წრის მეორე ნახევარს თორმეტივე გუნდი ვილნიუსში ითამაშებს ნოემბრის ბოლოს.

* * *

სურათზე: ლენინგრადის „სპარტაკისა" და დნეპროპეტროვსკის „სტალის" შეხვედრის მომენტი.

ვ. გალაკტიონოვის ფოტო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოვი — XXII თამაშების სარბიელი

## „ანგარიშს აბარებს"

### ოლიმპიადა—80-ის საორგანიზაციო კომიტეტი

**პარიზი.** 1980 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო სპორტის ზაფხულის ოლიმპიური სახეობების საერთაშორისო სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელთა სხდომაში ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის დელეგაციის მონაწილეობა. სხდომა შედგა მონტე-კარლოში.

საერთაშორისო სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელები დიდი ინტერესით შეხვდნენ ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ი. ნოვიკოვის ცნობას, რომელმაც დამსწრეთ მოუთხრო ოლიმპიური სპორტული ნაგებობების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის, მათი სპორტული აღჭურვილობითა და ინვენტარით მოწყობის, ოლიმპიური შეჯიბრებების პროგრამის, სპორტული მსაჯების მომზადებისა და მოსკოვში, ტალინში, ლენინგრადში, კიევსა და მინსკში ოლიმპიური სტარტების ორგანიზაციასთან დაკავშირებული სხვა ბევრი საკითხის შესახებ.

საერთაშორისო სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა კმაყოფილებით აღნიშნეს ყველა მოსამზადებელი სამუშაოს მიმდინარეობის გეგმაზომიერი ხასიათი და ოლიმპიადა-80-ისა და საერთაშორისო სპორტული ფედერაციების თანამშრომლობის ხანგრძლივი პროგრამის წარმატებით შესრულება.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია, აგრეთვე, მოსკოვის ოლიმპიადაში ყველა კონტინენტის სპორტსმენთა უფრო ფართო მონაწილეობისთვის საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობას.

ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ნოვიკოვმა მონაკოში გამართულ პრესკონფერენციაზე თავისი გამოსვლა მიუძღვნა მოსკოვის ოლიმპიადისთვის მზადების წარმატებით მიმდინარეობას.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა საერთაშორისო ფედერაციების XII გენერალურ ასამბლეაში ილაპარაკა ოლიმპიური სპორტული კომპლექსების მშენებლობის დიდი მასშტაბის გეგმების წარმატებით შესრულებაზე.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ჟურნალისტების მომსახურების საქმეს, რათა მათ სწრაფად და ობიექტურად შეძლონ XXII ოლიმპიური თამაშების მოვლენების გადაცემა. მშენებარე ოლიმპიური პრეს-ცენტრი გაანგარიშებულია პრესის 7 ათასზე მეტ წარმომადგენელზე. ყოველ სპორტულ კომპლექსს ექნება ინფორმაციის თავისი ცენტრი.

მოქმედებაში შევიდა სპორტის ოლიმპიური სახეობების საერთაშორისო ფედერაციებთან საორგანიზაციო კომიტეტის თანამშრომლობის გეგმა. დადებულია კონტრაქტი 160 კომპანიასთან სპორტული კომპლექსების ტექნიკური მოწყობილობის მოსაწოდებლად.

პრეს-კონფერენციის მონაწილეებს აჩვენეს ფილმი ოლიმპიური ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობაზე. (საქდესი).



მოსკოვი. ოლიმპიური სოფლის ხედი.

## კანადელთა აზრით

„ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტში მოეწყო პრესკონფერენცია მოსკოვში ჩამოსული კანადის სპორტულ მოღვაწეებთან. ჟურნალისტთა შეკითხვებს პასუხობდნენ დელეგაციის ხელმძღვანელი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი ჯ. უორელი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრი ი. საბო, რომელიც მეთაურობას გაუწევს კანადის დელეგაციას მოსკოვის ოლიმპიადაზე.

— მოსკოვში ჩამოვედით, რათა გავეცნოთ კანადელ სპორტსმენთა თამაშებზე მიღების პირობებს. გვაინტერესებს ყველაფერი: საბინაო, სატრანსპორტო მომსახურება, სპორტული ნაგებობები, კვებისა და ბევრი სხვა საკითხი, — განაცხადა ჯ. უორელმა.

— რა უფრო მოგეწონათ მოსკოვში?

— მასპინძლებმა ბევრი რამ გვიჩვენეს. დიდი შთაბეჭდილება დატოვა ოლიმპიურმა სოფელმა. შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ეს ყველაზე კარგი ოლიმპიური სოფელია, რომელიც კი მინახავს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა სპორტული ნაგებობა მწყობრში ჩადგება დროულად, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე.

უორელის აზრს მხარი დაუჭირა ი. საბომ.

— მოსკოვში ოლიმპიადის მონაწილეებს უკეთესი საბინაო პირობები ექნებათ, ვიდრე ეს იყო მონრეალში.

— რამდენი კანადელი აპირებს მოსკოვში ჩამოსვლას?

— ოლიმპიადის სპორტული ბატალიების სანახავად კანადიდან ჩამოვა 8 ათასი სპორტის მოყვარული.

— აპირებენ თუ არა კანადელები მონაწილეობა მიიღონ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში?

— რასაკვირველია. შევეცდებით მოსკოვში მოვავლინოთ ყველაზე საუკეთესო სპორტსმენები და გამოვიდეთ ბევრ სარბიელზე.

კანადელ სპორტის მოღვაწეთა დელეგაცია მიიღეს „ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილეებმა ვ. სმირნოვმა და ი. დენისოვმა.



## როგორ გამოვლინდება ჩემპიონი

**მანილა.** ფილიპინების დედაქალაქში გამართულ კონგრესზე ფიბა-ს ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 1980 წლის ოლიმპიური ტურნირის ფინალისტთა განსაზღვრის ახალი სისტემა. კალათბურთელ ვაჟთა 12 გუნდი 3 ქვეჯგუფად გაიყოფა, — თქვა ფიბა-ს გენერალურმა მდივანმა ბორისლავ სტანკოვიჩმა (იუგოსლავია). — თითოეულ ჯგუფში მატჩები ჩატარდება წრიული სისტემით. შემდეგ ქვეჯგუფების ორ-ორი კოლექტივისგან შედგება ნახევარფინალური ჯგუფი, I-II ადგილებზე გასულ გუნდებს შორის გაიმართება გადამწყვეტი მატჩი ოქროსა და ვერცხლის მედლებისთვის. III-IV ადგილებზე გასული გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან „ბრინჯაოს" მოსაპოვებლად.

სტანკოვიჩმა განაცხადა, რომ 12 გუნდი, რომელიც მოსკოვში იასპარეზებს, შემდეგნაირად განისაზღვრება: მონრეალის ოლიმპიადის სამი პრიზიორი (აშშ, იუგოსლავია, სსრ კავშირი); ევროპის სამი გუნდი, რომლებიც 1980 წლის მაისში შვეიცარიის წინაოლიმპიურ ტურნირში გაივლიან „კვალიფიკაციას"; ამერიკის სამი გუნდი, რომლებიც 1980 წლის აპრილში პუერტო-რიკოს წინაოლიმპიურ ტურნირში მოიპოვებენ „საგზურებს" და აგრეთვე, აფრიკის, აზიისა და ოკეანიის რეგიონალური ჩემპიონები.

ქალთა ოლიმპიურ ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 6 გუნდი. სსრ კავშირის ნაკრებს ამის უფლება აქვს, როგორც წინა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონსა და მომავალი ოლიმპიადის მასპინძელს. დანარჩენი ხუთეული გამოვლინდება 1980 წლის მაისში ბელგრადის საკვალიფიკაციო ტურნირში.

მანილაში, ფიბა-ს რიგებში მიიღეს ახალი ქვეყნები — ფიჯი, რუანდა, ბანგლადეში, მოზამბიკი, სეიშელის კუნძულები, ანგოლა და ბრუნეი. (საქდესი).





ოლიმპიური რეგატისათვის, რომელიც ტალინის ყურეში გაიმართება, ესტონეთის დედაქალაქში შენდება ახალი სატელევიზიო კოშკი, სასტუმრო „ოლიმპია" და, ცხადია, საიალქნო სპორტის ცენტრი მდინარე პირიტას შესართავთან. ამჟამად თერმოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები მუშაობენ „ოლიმპიური წყლის" გასუფთავების საკითხებზე.

* * *

სურათებზე: ყურეში წყლის სიწმინდე საიმედო კონტროლის ქვეშაა. ქვემოთ — თერმოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები წყლის სინჯს იღებენ. ზემოთ — ი. ლოკი დაკვირვებას აწარმოებს ვერტმფრენიდან.

ა. რუხაძისა და ი. ვენდელინის ფოტო (საქდესი).

 აი, ვინ გვასახელა!

## ოსტატი და შეგირდი

**ისინი** ორნი არიან, მწვრთნელი და შეგირდი, ორი განსხვავებული ხასიათის მქონე ადამიანი, ერთმანეთთან მძლეოსნობის ყველაზე უფრო ვაჟკაცურმა და რთულმა სახეობამ, ათჭიდმა რომ დაამეგობრა. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონის ელგუჯა ქორთიევისა და მისი მწვრთნელის ლევან გუგეშაშვილის ნაცნობობა რესპუბლიკის სპორტულ სკოლა-ინტერნატში შედგა.

1975 წლის აგვისტოს მცხუნვარე დღეები იდგა. სპორტსკოლაში მისაღები გამოცდები მიმდინარეობდა. სხვებთან ერთად ბედს ჩვენი ნაცნობიც ცდიდა, მაგრამ მძლეოსნობაში კი არა — ჭიდაობა ძიუდოში. სამწუხაროდ, ელგუჯამ სპეციალისტთა მოწონება ვერ დაიმსახურა და ამიტომ ახლა მძლეოსნობას მიაშურა. აქაც იგივე განმეორდა... ის იყო ყველაფერზე ხელი უნდა ჩაექნია, რომ ბედმა მის მომავალ მწვრთნელსა და მასწავლებელს ლევან გუგეშაშვილს შეახვედრა. ლევანმა დაკვირვებით შეათვალიერა ყვარლელი ჭაბუკი და... თვალში მოუვიდა.

ელგუჯას ცხოვრებაში ახალი ფურცელი გადაიშალა. დაიწყო, მონდომებული, თავდაუზოგავი ვარჯიშით აღსავსე დღეები. ვარჯიშობდა ყველგან და ყოველთვის, ოღონდ კი სადმე შესაფერისი დრო და ადგილი ენახა.

დაუღალავმა, მიზანსწრაფულმა და, რაც მთავარია, გეგმაზომიერმა ვარჯიშმა სულ მალე გამოიღო შედეგი, ერთი ხნის შემდეგ მან მოზრდილთა მეორე თანრიგი შეასრულა, ხოლო პირველი დიდი სპორტული ნათლობა სპეციალიზებულ მძლეოსნურ სკოლებს შორის გამართული საკავშირო პირველობა გამოდგა, სადაც ელგუჯამ მეოთხე ადგილი დაიკავა.

მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადაზე ელგუჯას მონაწილეობა ფეხის მძიმე ტრავმის გამო სათუო იყო, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი კეთილად დასრულდა.

ტაშკენტშიც ათჭიდელთა ასპარეზობის რეგლამენტი ძალიან მკაცრად იყო განსაზღვრული. მონაწილეებს ორ დღეში უნდა დაემთავრებინათ შეჯიბრება. რაღა თქმა უნდა, ეს გარემოება სპორტსმენებისგან ყოველმხრივ მზადყოფნას ითხოვდა, რაც მთავარია, ძალთა სწორ განაწილებას მოითხოვდა. ელგუჯა თითქმის ყველა სახეობაში თანაბრად იყო მომზადებული, მაგრამ მასაც ჰქონდა თავისი საყვარელი სახეობა — რბენა 1500 მეტრზე, ეს კი იმითაც იყო საგულისხმო, რომ ათჭიდელთა ასპარეზობას სწორედ ეს სახეობა უსვამდა წერტილს.

პირველი დღის სტარტების შემდეგ, ქორთიევი მეორე ადგილზე იმყოფებოდა, მაგრამ ძირითადი სახეობები ჯერ კიდევ წინ იყო.

ათჭიდელთა ასპარეზობა მეორე დღესაც სპორტულად ძალიან საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა — ლიდერები ერთმანეთის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ელგუჯას გარდა ჩემპიონობისთვის იბრძოდნენ ბელორუსი ა. აგაფონოვი და ლიტველი ი. რაჯიუსი. როდესაც მინსკელმა შუბი 59,52 მეტრზე ტყორცნა, საქმე ამით დამთავრებულად ჩათვალა და თავს უკვე სპარტაკიადის ჩემპიონადაც კი თვლიდა, მაგრამ ელგუჯას მიერ ნატყორცნი შუბი 65,50 მეტრზე „გაფრინდა".

9 სახეობის შემდეგ, წინ კვლავ აგაფონოვი იყო, რომელიც საქართველოს წარმომადგენელს, ქულათა სოლიდური მარაგით — 104-ით უსწრებდა, მაგრამ ელგუჯა კარგად გამოვიდა თავის საუკეთესო სახეობაში (1500 მ), მთელი 120 მეტრით ჩამოიტოვა აგაფონოვი და 7353 ქულით სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა.

კითხვაზე, თუ ვის უძღვნა მან ეს გამარჯვება, ელგუჯამ უყოყმანოდ უპასუხა: ჩემს მწვრთნელსა და უფროს მეგობარს ლევან გუგეშაშვილს. ოსტატსაც სჯერა თავისი შეგირდისა და იმედი აქვს, რომ ელგუჯა ქორთიევი მალე დიდ სპორტშიც მიაღწევს მნიშვნელოვან წარმატებებს.

ა. ჭანტურია.

## ჭადრაკი

### ჩემპიონის ოქროს მედალი — ანატოლი კარპოვს

ბაგიო, 23 ოქტომბერი. „კონგრესების სასახლის" დარბაზში გაიმართა ანატოლი კარპოვის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი.

ფიდე-ს ბიუროს წევრმა ე. ედმონდსონმა წაიკითხა ფიდე-ს პრეზიდენტის მ. ეივეს მისალმება და მილოცვები.

მატჩის არბიტრმა მ. ფილიპმა (ჩეხოსლოვაკია) ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ჩემპიონის ტიტულისთვის მატჩი, რომელიც ტარდებოდა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის წესების შესაბამისად, დასრულდა საბჭოთა დიდოსტატ ანატოლი კარპოვის გამარჯვებით.

დადგა ყველაზე საზეიმო მომენტი. ფიდე-ს ორი ვიცე-პრეზიდენტი ბ. კაჟიჩი (იუგოსლავია) და ფ. კამპომანესი (ფილიპინები) ანატოლი კარპოვს გადასცემენ მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალს. შემდეგ კარპოვი ტრადიციული გვირგვინით შეამკეს.

დასასრულს სიტყვით გამოვიდა მსოფლიო ჩემპიონი.

### ლიდერები არ თმობენ პოზიციებს

ნიკოლაევში ქალთა 38-ე საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მეცამეტე ტურში შეჯიბრების ლიდერმა ლ. სემიონოვამ დაამარცხა ნ. ფატალიბეკოვა, ნ. გურიელმა — ტიტორენკო. ყაიმით დასრულდა მ. წერეთელ — ლ. ზაიცევას, ლ. ლისენკო — ლ. პოლნარევას, ტ. ფომინა — ტ. ვორონოვას პარტიები. დანარჩენი ოთხი შეხვედრა გადაიდო.

მეთოთხმეტე ტურში ზაიცევამ მოიგო ვ. სტერნინას. დაზავდნენ ტ. ფომინა — ფატალიბეკოვა, ტ. ჩიხოვა — წერეთელი, სემიონოვა — ლისენკო, გურიელი — ო. ვერეკო. ისევ ოთხი შეხვედრა დარჩა დაუმთავრებელი.

14 ტურის შემდეგ სემიონოვას 10,5 ქულა აქვს. ი. ლევიტინას — 9 და ორი გადადებული, გურიელს — 9.

### დასვენების დღე — გელათში

ქუთაისი, 23 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ ვ. ქარსელაძის მემორიალის მონაწილეებს გამოსასვლელი დღე ჰქონდათ. საინტერესო შეხვედრის ერთგული მოწმენი და მონაწილენი გახდნენ მოჭადრაკეები გელათში, სადაც მათ ექსკურსია მოაწყვეს. მეცნიერების ძველ ტაძარს მიაშურეს თბილისის პირველი საშუალო სკოლისა და ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის მოსწავლეთა დელეგაციებმა. ზოგიერთს შეიძლება (ცოტა არ იყოს უცნაურად მოეჩვენოს ამ ფაქტზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ შეხვედრას წმინდა საჭადრაკო „აქცენტი" გააჩნია. ახალი მსოფლიოს ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე ხომ სწორედ ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლაში სწავლობდა და შემდეგ თბილისის პირველი საშუალო სკოლა დაამთავრა.

ყურადღებით უსმენდნენ მოსწავლეები მემორიალის მონაწილეთა გამოსვლებს. შემდეგ მოჭადრაკეებმა მრავალრიცხოვან კითხვებს უპასუხეს. ერთი სიტყვით, შეხვედრამ მხიარულად და ამაღლებული სულისკვეთებით ჩაიარა.

წინა დღეს კი მემორიალზე VI ტური გათამაშდა. ი. ესტრინმა მეორე დამარცხება განიცადა, ამჯერად ლუტიკოვთან. აგრეთვე, ზედიზედ მეორედ, ოღონდ გამარჯვებით დასრულდა შეხვედრა ზ. აზმაიფარაშვილმა მ. პოდგაეცთან. კვლავ ნახევარი ქულა ჩაიწერა (მეექვსედ) მ. დვორეცკიმ, რომელიც ვ. ონნოსს ეთამაშებოდა. დაზავდნენ რ. ხოლმოვი და ზ. სტურუა, ე. გუფელდი და ვ. ზაიჩიკი.

რთულ მდგომარეობაშია გადადებული ნ. გურგენიძე — ვ. ლერნერის შეხვედრა. დ. გედევანიშვილის ავადმყოფობის გამო მისი პარტია ო. დოლმატოვთან არ შედგა.

ექვსი ტურის შემდეგ 3,5-3,5 ქულით ლიდერობენ ლუტიკოვი, სტურუა, აზმაიფარაშვილი. 3-3 ქულა დააგროვეს ხოლმოვმა (ერთი პარტია გადადებული აქვს), დვორეცკიმ და ონნოსმა.

**თ. გიორგაძე,**
**მოჭადრაკეების მთავარი მსაჯი.**

---

## ფეხბურთი

### პირველი ლიგა

გაუვლელ შაბათს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო პირველობის 2 მატჩი. კიშინიოვის „ნისტრუმ" მიიღო მინსკის „დინამო" და წააგო შეხვედრა ანგარიშით 1:2. იაროსლავლის „შინიკმა" ფრედ ითამაშა ვილნიუსის „ჟალგირისთან" — 1:1.

### სსრ კავშირის პირველობა

●

### მეორე ლიგა

22 ოქტომბერს გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები.

საქართველოს ყველა გუნდი თამაშობდა სტუმრად. სამტრედიის ლოკომოტიველებმა კიროვაბადში მოუგეს ადგილობრივ „პროგრესს" ანგარიშით 5:1. ერთნაირი ანგარიშით — 1:1 დამთავრდა 3 შეხვედრა: „ავტომობილისტი" (ტერ[illegible]) — „დილა" (გორი), „გასტელო" (უფა) — „[illegible]", „გაზოვიკი" (ორენბურგი) — „დინამო" (ბათუმი). ნაბერეჟნიე ჩელნის „ტურბინამ" მოუგო ლანჩხუთის „გურიას" — 2:1.

---

**მე და ჩემი ძმა ზაზა ძიუდოში ვვარჯიშობთ; მაგრამ ძალიან მოგვწონს კარატე და დიდი სურვილი გვაქვს დავეუფლოთ ამ სახეობას, სურვილი კი სურვილად რჩება, რადგან კარატე ჩვენთან მასობრივად არ არის დანერგილი, ამიტომ მას მხოლოდ ზოგადად ვიცნობთ. პატივცემულო რედაქციავ, გთხოვთ, გვიამბოთ სპორტის ამ სახეობის შესახებ, გვწერს ირაკლი კასრელიშვილი.**

**მსგავსი წერილები ხშირად მოგვდის — კარატემ დიდი ხანია დაიპყრო მილიონთა გულები.**

●

# კ ა რ ა ტ ე

**ბრძოლის** უძველესი ხელოვნება — კარატე ოდითგანაა ცნობილი და გავრცელებული აზიის ქვეყნებში. ჩვენი საუკუნის დასაწყისში შეიქმნა კარატეს არაერთი სკოლა, რომელთაგან პირველი გიჩინ ფუნაკოშიმ დააარსა. ამ სკოლას სიოტოკანი ეწოდება.

სიოტოკანის გარდა, ცნობილია სხვა სკოლებიც — გოძიუ-რიუ, ვადა-რიუ, კიოკუსინკაი, ტაეკვონდო და სხვები. გოძიუ-რიუს განმასხვავებელი ნიშანია მუშტი, რომლის მოდელი ამ სტილის დამაარსებლის ტაძიუ მიაგის ხელის მიხედვითაა შექმნილი. ლეგენდის თანახმად მას იმდენად ძლიერი თითები ჰქონია, რომ ერთი დარტყმით შეეძლო ხარისთვის ფერდი გაეხვრიტა. 1930 წელს მიაგი ოკინავადან ტოკიოში ჩავიდა და შექმნა საკუთარი სკოლა, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა კლასიკური სახეობისგან.

ვადა-რიუ დააარსა ფუნაკოშის მოწაფემ, ექიმმა ხირონორი ოცუკიმ. მან კარგად შეისწავლა სიოტოკანის სკოლა და იგი ჯიუ-ჯიცუსი და სხვა სახეობების ილეთებით გაამდიდრა.

კიოკუსინკაის სკოლა შედარებით გვიან დაარსდა, მისი მამამთავარია კარატეს ბრწყინვალე ოსტატი ოიამა, რომელმაც გააერთიანა კორეული კეპოს, ძიუდოს და სხვა ორთაბრძოლების მეტნაკლებად ეფექტური ელემენტები.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ტაეკვონდო შეიქმნა. აზიის ქვეყნებში უძველესი დროიდან არსებობდა კემპოს სხვადასხვა სახეობები, რომლებიც თანდათან ორ ეროვნულ სახეობად — ხაპკიდოდ და ტაეკიონად ჩამოყალიბდა. ახალი სკოლის დამაარსებელმა ჩოი ხონ ხიმ იაპონიაში შეისწავლა კარატე და მასთან ხაპკიდო და ტაეკიონი გააერთიანა.

სკოლათა ასეთი სიმრავლე და მათ შორის გაჩაღებული პაექრობა დიდხანს არ იძლეოდა ნაციონალური პირველობის ჩატარების საშუალებას. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამაში თვით გიჩინ ფუნაკოში იყო დამნაშავე. იგი სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე ხელმძღვანელობდა 1948 წელს დაარსებულ კარატეს იაპონურ ასოციაციას და ცდილობდა საკუთარი სკოლის — სიოტოკანისათვის პრივილეგიის შექმნას, რაც საკმაოდ აძნელებდა სხვა სკოლებთან ნორმალური ურთიერთობის მოგვარებას. ისე, რომ ფუნაკოშის გარდაცვალებამდე (1957 წ.) ერთი მნიშვნელოვანი ასპარეზობის მოწყობაც კი ვერ მოხერხდა.

უნდა ითქვას, რომ კარატეს სხვადასხვა სტილს შორის განსხვავება რამდენადმე პირობითია და კამათიც ძირითადად წვრთნის სხვადასხვა მეთოდებისა და ამა თუ იმ ილეთებისადმი უპირატესობის მინიჭებით ამოიწურებოდა, მისი განვითარების ტენდენცია კი სხვადასხვა სკოლების დაახლოებითა და ერთიანი, უნივერსალური კარატეს შექმნით განისაზღვრებოდა. 1964 წელს იაპონიაში სწორედ ამან განაპირობა ყველა მიმდინარეობის გაერთიანება ერთ ფედერაციაში, რომლის პრეზიდენტად სასაგავა აირჩიეს. ამავე წლიდან იქ ყოველწლიურად ეწყობა ღია ჩემპიონატები.

1971 წლიდან დღემდე ასეთ ასპარეზობებში, როგორც წესი, კიოკუსინკაის სკოლის წარმომადგენლები იმარჯვებენ, რაც იმით აიხსნება, რომ ყველაზე მეტი მიმდევარი სწორედ ამ სკოლას ჰყავს, მარტო იაპონიაში კიოკუსინკაის მეთოდით 350 ათასი ადამიანი ვარჯიშობს.

კარატეს სკოლებში სპორტსმენის ოსტატობის ხარისხი მისი ქამრის ფერით განისაზღვრება. შემოღებულია ორი ძირითადი კატეგორია — კიუ („უმცროსი ძმები") და დანი („უფროსი ძმები"), რომლებიც თავის მხრივ სხვადასხვა ხარისხებად იყოფიან. კიუს 8 ასეთი ხარისხი აქვს, დანს კი 10. თეთრი ქამარი კიუს სამი უმდაბლესი ხარისხის ნიშანს გამოხატავს. შემდეგი ორი ხარისხი დამწყებ კარატისტს უფლებას ანიჭებს ატაროს მწვანე ფერის ქამარი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან უკვე აითვისა ტექნიკის ძირითადი საფუძვლები, შეუძლია კონტროლი გაუწიოს საკუთარი დარტყმის ძალას და საწვრთნელ ორთაბრძოლებზე დაიშვება. ყავისფერი ქამარი დანარჩენი სამი უმაღლესი ხარისხის ნიშანია. ამ ქამრის მოსაპოვებლად სპორტსმენმა სულ ცოტა ორი წელი მაინც უნდა ივარჯიშოს.

დანის პირველ ხარისხს „სიოდანი" ეწოდება, მეორეს კი „ნიდანი". ამ უკანასკნელის მოსაპოვებლად ოთხი წლის ვარჯიშია საჭირო, ხოლო კიდევ ექვსი წლის ინტენსიური წვრთნის შემდეგ სპორტსმენი ღებულობს საპატიო ხარისხს — „სან დანს". ამ რიგით მესამე ხარისხის მატარებელს „დაი-



სემპაის" უწოდებენ, რაც ნიშნავს „პირველს უფროს ძმათა შორის". იგი სრულყოფილად უნდა ფლობდეს კარატეს ტექნიკას და ეროვნულ ან საერთაშორისო ჩემპიონატზე პირველი, უკიდურეს შემთხვევაში მეორე ადგილი უნდა ჰქონდეს მოპოვებული. დანის პირველი სამი ხარისხის მფლობელს შავი ქამრის ტარება შეუძლია.

მეოთხე და მეხუთე ხარისხის — „რენსის" (მწვრთნელი) მფლობელები უკვე პროფესიონალი კარატისტები არიან. თუკი წვრთნას ბავშვობიდან დაიწყებს, სპორტსმენი ამ ხარისხს მხოლოდ 30 წლის ასაკში აღწევს. მეოთხე ხარისხის მატარებელს შავ ქამარზე ზემოდან გასდევს წითელი ხაზი, მეხუთესას კი ქვემოდან.

შემდეგი სამი ხარისხის მფლობელებს „კიოსი", ანუ ბრძენი ამლზრდელები ეწოდებათ. ამ წოდებას მხოლოდ იმათ ანიჭებენ, ვისაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის კარატეს აღორძინების საქმეში. მათ შავ ქამარს წითელი ხაზი შუაზე გასდევს.

მხოლოდ უკანასკნელი მეცხრე და მეათე ჯგუფის ოსტატებს აქვთ წითელი ქამრის ტარების უფლება: დღეს მთელს მსოფლიოში ასეთი მხოლოდ თორმეტი კაცია. ყველა ისინი, საბრძოლო ხელოვნების სხვა ოსტატებთან ერთად ერთი ძმობის — „ბოდოკანის" წევრები არიან, რომლის შტაბიც ტოკიოს ერთ-ერთ შენობაშია მოთავსებული. „ბოდოკანში" კარატეს სექციის წარმომადგენლად კარგა ხანს იყო „სეიკო-სიხანი" (დამსახურებული ოსტატი), გოშენ იამაგუტი, რომელსაც უიარაღოდ შეეძლო გაფთრებული ვეფხვის დამარცხება.

ევროპა კარატეს ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე გაეცნო. 50-იან წლებში იაპონურმა ფილმებმა და კარატეს ცნობილი ოსტატების საჩვენებელმა გამოსვლებმა ამ ეგზოტიკურ სახეობას დიდი პოპულარობა მოუხვეჭა საფრანგეთში. ინტერესი იმდენად დიდი გამოდგა, რომ 1955 წელს ამ ქვეყანაში კარატეს ფედერაცია შეიქმნა. ამჟამად საფრანგეთში ყოველწლიურად ეწყობა თასის გათამაშება და ჩემპიონატები ქვეყნის პირველობაზე.

50-იან წლებში კარატემ ევროპის სხვა ქვეყნებშიც შეაღწია. ინგლისში შეიქმნა შესაბამისი ფედერაცია, გფრ-ში კი ზედიზედ კარატეს ოთხი ორგანიზაცია გაიხსნა. შემდგომში ასეთივე ორგანიზაციები დაარსდა ევროპის სხვა ქვეყნებშიც. ამომავალი მზის ქვეყნის ეროვნული სპორტის აღიარებამ მალე იმის შესაძლებლობა შექმნა, რომ 1965 წელს ევროპაში ჩამოყალიბებულიყო კარატეს გაერთიანებული ორგანიზაცია, რომელიც 1969 წლისთვის 15 წევრს ითვლიდა. მოგვიანებით ამ გაერთიანებას იუგოსლავიაც შეუერთდა. ინგლისის კარატეს ფედერაცია რატომღაც თავს არიდებდა ევროპის ქვეყანათა კავშირს და ამიტომ, მისი ინიციატივით, განცალკევებით შეიქმნა ევროპის კარატეს ფედერაცია, რომელშიც ინგლისის გარდა გფრ და იტალია შევიდნენ.

კარატეს პირველი იაპონელი ექსპერტები ევროპაში ძირითადად ორი სკოლის — სიოტოკანისა და ვადა-რიუს წარმომადგენლები იყვნენ, ამიტომ იქ სწორედ ამ მიმდინარეობებმა მოიკიდეს ფეხი. ევროპაში კარატეს ტექნიკურ მრჩევლებად კარგახანს იყვნენ ხ. მოჩიძუკი (ვადა-რიუ) და ტ. კასე (სიოტოკანი). ამ ბოლო დროს კი მრავალ ქვეყანაში კარატეს სხვა სკოლებმაც ჰპოვეს აღიარება. ევროპის პირველობა კარატეში 1966 წლიდან ყოველწლიურად იმართება.

1969 წელს საფუძველი ჩაეყარა კარატეს საერთაშორისო ორგანიზაციას, ერთი წლის შემდეგ კი ტოკიოში მსოფლიოს პირველი ოფიციალური ჩემპიონატი მოეწყო. საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნას წინ უსწრებდა მსოფლიოს კარატისტთა პირველი გაერთიანებული კონგრესი, რომელიც მეხიკოში შეიკრიბა. ამ კონგრესზე მიიღეს გადაწყვეტილება იაპონიის, ევროპის (ინგლისი, გფრ, იტალია), აშშ-ს, აგრეთვე, მექსიკის, არგენტინისა და ურუგვაის კარატეს ნაციონალური ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ. ამ ქვეყნების ნაკრები გუნდები, რომელთაგან თითოეული 5 უძლიერესი სპორტსმენით იყო დაკომპლექტებული, 1968 წელს ოთხ საერთაშორისო ტურნირში შეხვდნენ ერთმანეთს. ერთდროულად გათამაშდა მსოფლიოს არაოფიციალური პირველობა (ლოს-ანჯელესი) და ამერიკის ჩემპიონატი (სან-ფრანცისკო).

თუ მსოფლიოს პირველ ჩემპიონატზე (1970 წ.) იაპონელებმა აშკარად დაჯაბნეს მეტოქეები (მსოფლიოს პირველი აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული იაპონელმა ვადამ მოიპოვა), 1977 წელს, ტოკიოში თვალსაჩინო გახდა ევროპის გუნდების წარმატება — მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისის, საფრანგეთის, გფრ-ს, ესპანეთის, შვეციისა და ჰოლანდიის კარატისტები. როგორც ხედავთ, იაპონელები მეოთხედფინალშიც კი ვერ მოხვდნენ. გუნდური პირველობა ინგლისელებმა მოიპოვეს. მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი კი ფრანგი პიერ მონტენი გახდა.

ტაეკვონდოს სკოლები არ შეუერთდნენ საერთაშორისო ორგანიზაციას და 1973 წელს თვითონვე დააარსეს მსოფლიოს კარატეს ფედერაცია, რომელიც ამჟამად 47 ქვეყანას აერთიანებს. დღემდე ამ ფედერაციას ჩატარებული აქვს მსოფლიოს სამი ჩემპიონატი — 1973, 1975 და 1976 წლებში. მეოთხე ჩემპიონატი გაიმართება წელს ლოს-ანჯელესში. ტაეკვონდოს ფედერაცია საერთაშორისო ფედერაციების გენერალური ასამბლეის მესამოცე წევრი გახდა.

კარატეში არ არის შემოღებული შეჯიბრებათა წესების ერთიანი სისტემა, ყოველ ასოციაციას მსაჯობის საკუთარი წესები გააჩნია, თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატების შემოღების შემდეგ ეს წესები ნელნელა უახლოვდება ერთმანეთს. ყველასათვის საერთოა წმინდა გამარჯვების მიმნიჭებელი ილეთი „იპონი", აგრეთვე, „ვაზარი" (ნახევარი გამარჯვება). ორი ვაზარი ერთ „იპონს" უდრის, ბრძოლა კი სამ იპონამდე გრძელდება. მთელი ორთაბრძოლა ერთ რაუნდად წარმოებს და ორი წუთის განმავლობაში (წმინდა დრო) უნდა დასრულდეს. შეჯიბრება მსოფლიოს პირველობაზე ეწყობა სწორ მოედანზე, რომლის ზომაა 8×8 მეტრი. თუ კი რომელიმე მებრძოლი ამ მოედნის საზღვარს გადასცდება, მას ან გააფრთხილებენ, ან საერთოდ ხსნიან შეჯიბრებიდან. მოედნის ცენტრიდან 1,5 მეტრის მანძილზე ორთავე მხარეს გავლებულია პარალელური ხაზები, თითოეული 1 მეტრის სიგრძისა. სწორედ ამ ხაზებზე უნდა იდგნენ მეტოქენი შეჯიბრების დაწყების წინ. ცენტრიდან მესამე მხარეს პარალელური ხაზების პერპენდიკულარულად გავლებულია მესამე ხაზი, რომელიც მსაჯისთვისაა განკუთვნილი.

კარატეს მსაჯი ყოველთვის სწორ პოზიციას უნდა ირჩევდეს, რათა არაფერი გამოეპაროს, დროულად აღიქვას სპორტსმენთა ყოველი მოძრაობა. მას უნდა შეეძლოს ყოველი „დარტყმის" ფიქსირება და რაც მთავარია, მისი შესაძლო შედეგების განსაზღვრა. ამიტომ კარატეს მსაჯები, როგორც წესი მხოლოდ ყოფილი სპორტსმენები არიან. შეჯიბრების მსაჯს სასტვენი ან ორი დროშა უპყრავს — წითელი და თეთრი. მას ეხმარება ოთხი გვერდითი მსაჯი, რომლებიც ასეთივე რეკვიზიტებით არიან შეიარაღებულნი. გვერდითი მსაჯების მოვალეობაა დროულად შენიშნონ სპორტსმენის მიერ კარგად ჩატარებული ტექნიკური ილეთი და ამის შესახებ მოედნის მთავარ მსაჯს ანიშნონ. თუ ილეთის ჩატარებას მხოლოდ ერთი გვერდითი მსაჯი აღნიშნავს, მთავარ მსაჯს შეუძლია არ ჩათვალოს იგი და შეხვედრა გააგრძელოს. მაგრამ თუკი ორი ან მეტი გვერდითი მსაჯი ანიშნებს, იგი ვალდებულია შეწყვიტოს ბრძოლა.

სპორტსმენებს სარბიელზე თეთრი კიმონოები აცვიათ, რომელიც უმნიშვნელოდ განსხვავდება ძიუდოს ფორმისაგან. წესის მიხედვით, შეხვედრის მონაწილეებს ეკრძალებათ ყოველგვარი დამცავი ფარების გამოყენება, თუმცა მსაჯთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, ცალკეულ შემთხვევაში, ასეთი საშუალების გამოყენებაც შესაძლებლად ითვლება.

კარატე სულ უფრო და უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს მთელ პლანეტაზე. სპორტის ამ სახეობით ჩვენშიც დაინტერესდნენ. სსრ კავშირის სპორტკომიტეტის გადაწყვეტილებით შექმნილია სპეციალური კომისია, რომელსაც კარატეს პოპულარიზაცია და მისი დანერგვის ხელმძღვანელობა ევალება.

**ვ. პოპოვი,**
**ა. გუსევი.**

**„სპორტ ზა რუბეჟომ".**




# ჰიმალაიში, საქართველოს გავლით

**ევროპელთათვის** ინდოეთისკენ მიმავალი უმოკლესი სახმელეთო გზა საქართველოზე გადის. ამ გზაზე უხსოვარი დროიდან მოგზაურობდნენ ვაჭართა ქარავნები. საქართველოზე უცხოეთის რამდენიმე ალპინისტურ ექსპედიციასაც გაუვლია ჰიმალაისა თუ ყარაყორუმის ცათამბჯენების დასაპყრობად.

როგორც ვიუწყებოდით, აგვისტოს შუა რიცხვებში ჰიმალაისკენ მიმავალმა პოლონელმა ალპინისტებმა გზად სწორედ საქართველოში გაიარეს და რამდენიმე დღის წინ კვლავ ჩვენს დედაქალაქში ჩამოვიდნენ. პოლონელ ალპინისტებს საქართველოს ალპურ კლუბში შევხვდით. მისვლისთანავე ექსპედიციის წევრს, მეტალურგიის დოქტორს კაჟიმეჟ როშაკს ვუთხარით:

— იცით, თქვენი თანამემამულე ვანდა პიტკევიჩი ჯომოლუნგმაზე ავიდა. გილოცავთ!

— კი მაგრამ, თქვენ საიდან იცით? ვინ გაავრცელა ეს ინფორმაცია?

— დღეს გახდა ცნობილი. ნეპალის დედაქალაქ კატმანდუდან საზღვარგარეთის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ პოლონელმა ქალმა ვანდა პიტკევიჩმა დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ევერესტი (იგივე ჯომოლუნგმა — 8848 მ) დაიპყრო. საერთაშორისო ექსპედიციაში ვანდას გარდა კიდევ სამი ქალი და ორი შერპი იყო.

— ვანდა, პიტკევიჩი კი არა, რუდკევიჩია!

— „ლელოს“ მკითხველებისთვის საინტერესო იქნება ახლოს გაეცნონ თქვენს თანამემამულეს. ბოლოსდაბოლოს, იაპონელ ტაბეისა და ტიბეტელი ფანტხოგის შემდეგ იგი მესამე ქალია, ევროპელთაგან კი პირველი, რომელმაც დედამიწის უმაღლეს წერტილს მიაღწია. მაგრამ ვიდრე ვანდა რუდკევიჩს გაგვაცნობდეთ, ჯერ თქვენს ექსპედიციაზე გვიამბეთ.

— ექსპედიციაში თერთმეტნი ვართ. უფრო ზუსტად, ვიყავით. საქმე იმაშია, რომ ჩვენი ხელმძღვანელი, პროფესიით გეოლოგი, დოქტორი ანჯეი პაულო და კიდევ სამი კაცი სამშობლოში ინდოეთიდან გაფრინდნენ. ჩვენ — ადამ ჩასკა, სტანისლავ განეკი, იეჟიკ სმელა, სტანისლავ ქეენიკი, ბოგდან სჩელსკი, მარეკ კოლაჩკოვსკი და მე ისევ ავტომობილით გამოვემგზავრეთ. ექსპედიციაში ექვსი კაცი კრაკოვიდან იყო, ორი — ვარშავიდან, თითო-თითო წევრიც ოპოლიდან და სტრაკოვიცედან. ჩვენი ძირითადი მიზანი სამეცნიერო პროგრამის განხორციელებას გულისხმობდა. კერძოდ, ვაწარმოებდით გლაციოლოგიურ, გეოლოგიურ, ბიოლოგიურ, მინერალურ და სხვა დაკვირვებებს. ამასთან, ჩვენი მიზანი, როგორც მთამსვლელებისა, ბუნებრივია, მწვერვალების დაპყრობაც იყო. დუნაგირის მასივზე, რომელიც ცნობილი ნანდადევის (7816 სმ) მახლობლად მდებარეობს, სამხრეთიდან ორ მწვერვალზე ავედით. მათი სიმაღლე 6 100 და 6 200 მეტრია. ამას გარდა, კიდევ ერთი — 5611 მეტრის სიმაღლის მწვერვალი დავიპყარით ახალი გზით. ძალიან გვინდოდა დუნაგირის მასივის უმაღლეს მწვერვალზე ასვლა სამხრეთის კედლის ავლით. მწვერვალის სიმაღლე 7066 მეტრია. სამწუხაროდ, ჩვენი იქ ყოფნა მუსონების ბოლო პერიოდს დაემთხვა. დუნაგირზე ლაშქრობისას გამუდმებით თოვდა, კედელზე თოვლი არ ჩერდებოდა და ძირს ცვიოდა. სქელი ნისლი იყო და ზვავებიც მოსვენებას არ გვაძლევდნენ. ასეთ პირობებში 6200 მეტრამდე ავედით. მეტის მიღწევა შეუძლებელი იყო. უკან დავრუნდით. მეორედ რომ შევცადა ბედი, დროც აღარ იყო— — ექსპედიციის ვადა იწურებოდა.

— ალბათ, პოლონეთიდან ინდოეთამდე, წინ და უკან მგზავრობა არა ნაკლებ მომქანცველი იქნებოდა.

— რა თქმა უნდა. დღემდე 16000 კილომეტრი გავიარეთ. მათ შორის უგზო ადგილებშიც. წინ კიდევ დიდი გზაა. თუმცა, მთავარი სირთულე უკვე უკან დარჩა. განსაკუთრებით გაგვიჭირდა ინდოეთის უკაცრიელ ადგილებზე, მუსონებისგან ადიდებული მდინარეების ავტომობილით გადალახვა. მიუხედავად ამისა, მოგზაურობა საინტერესო იყო. თვითონ განსაჯეთ, ჩვენი მარშრუტი იქვსი ქვეყნის: პოლონეთის, საბჭოთა კავშირის, ირანის, ავღანეთის, პაკისტანისა და ინდოეთის გზებზე გადიოდა.

— ახლა კვლავ ვანდა რუდკევიჩს დავუბრუნდეთ.

— ვანდა 34 წლისაა. გაუთხოვარია. ვარშავის გამომთვლელი მანქანების ინსტიტუტში მუშაობს. პროფესიით ელექტრო-ინჟინერია. 16 წლისა იყო, ალპინიზმმა რომ გაიტაცა.

— ეს ვანდასთვის პირველი ექსპედიცია ხომ არ იყო ჰიმალაიში?

— არა. 1975 წელს, ქალთა საერთაშორისო წელს, სწორედ მაშინ, როცა იუნეკო ტაბეი ჯომოლუნგმაზე ავიდა, ვანდამ თავის თანამემამულე ქალებთან ერთად ყარაყორუმში გაშერბრუმის (8035 მ) პიკი დაიპყრო. 1976 წელს კი ჰიმალაიში საერთაშორისო ექსპედიციის მონაწილე იყო. ისინი ნანგაპარბატზე (8126 მ) ადიოდნენ. სამწუხაროდ, ასვლისას ერთი გერმანელი მთამსვლელი დაიღუპა და, ცხადია, ყველანი უკან დაბრუნდნენ.

— ხომ არ იცით, როგორ ემზადებოდა ვანდა რუდკევიჩი ჯომოლუნგმას დასაპყრობად?

— წლეულს პოლონელ ქალებთან ერთად ალპებში, მწვერვალ მატერჰორნზე ავიდა. ამ მწვერვალის სიმაღლე სულ რაღაც 3708 მეტრია. მაგრამ არც ისე იოლი დასაძლევია. აქ განსაკუთრებით ცუდი კლიმატური პირობებია. თვითონ მწვერვალის სახელიც ავდრიანს ნიშნავს. ასვლის პირობები რომ მკაცრი ყოფილიყო, ლაშქრობა ზამთარში მოაწყეს. მათ პირველებმა გაიარეს სამხრეთის კედელი, რასაც 3 დღეს მოუნდნენ. ესეც თქვენი 3708 მეტრის სიმაღლის მწვერვალი!

— „ლელოს“ რედაქციის სახელით, ისლა დაგვრჩენია თქვენი საშუალებით წარმატება მივულოცოთ ვანდა რუდკევიჩს.

როცა პოლონელ მთამსვლელებს ვემშვიდობებოდით, ექსპედიციის ერთ-ერთმა წევრმა თავისი სავიზიტო ბარათი გადმოგვცა. თან მეორე მხრიდან ქართულად წააწერა — მარეკ კოლაჩკოვსკი.

როგორც მისმა მეგობრებმა გვითხრეს, მარეკი თავს სანახევროდ ქართველად თვლის. დიდედამისს საქართველოს დედაქალაქში 16 წელი უცხოვრია. მამა კი თბილისში გარდაცვლილა და აქვე ყოფილა დასაფლავებული.

**ა. გოგოლაშვილი.**

• • •

**სურათებზე:** პოლონელი მთამსვლელები კ. როშაკი (მარცხნივ) და მ. კოლაჩკოვსკი; „სამყაროს სახურავი“ — ჯომოლუნგმა.

## „ლოკომოტივი“ — ნახევარფინალში

**კვირას** მოსკოვსა და კიევში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალური შეხვედრები რეგბიში.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორების — ადგილობრივი სპორტკლუბ „ფილისა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ მატჩი, რომელიც მოსკოვში გაიმართა.

თბილისელებს ჩემპიონის ოქროს მედლები ამ გუნდთან წაგებამ დაკარგვინა. ახლა „ლოკომოტივს“ რევანში სწყუროდა და მიზანსაც მიაღწია.

იმ დღეს მოსკოვში წვიმდა. სველ მინდორზე თამაში გაძნელდა, მაგრამ ორივე კოლექტივი მაინც თავგამოდებით იბრძოდა. მე-4 წუთზე მასპინძლებმა წარმატება მოიპოვეს — მეტოქის ჩათვლის მოედანში ბურთის დადება შეძლეს.

რკინიგზელთა „ქალაქის“ ალების მერე ინიციატივას თანდათან სამხრეთელი სპორტსმენები დაეუფლნენ და იგი საფინალო სასტვენამდე ხელიდან არ გაუშვიათ...

მე-14 წუთზე გიორგაძემ საჯარიმო დარტყმით ანგარიშში სხვაობა შეამცირა — 3:4, ხოლო ტაიმის მიწურულს მანვე ასევე საჯარიმოს ზუსტად გამოყენებით თავისი გუნდი დააწინაურა.

მეორე ტაიმში უშელავათო ბრძოლა ხან ერთი, ხანაც მეორე გუნდის

## რეგბი

[library stamp]

ხაზამდე ა... წევდა, და მცველების თავგამოდე... ...ით მხოლოდ უკანასკნელ მომენტში უშედეგოდ მთავრდებოდა. მაგრამ რკინიგზელთა ტექნიკური და ტაქტიკური უპირატესობა მაინც თვალსაჩინო იყო. თბილისელთა გამუდმებული იერიშები ბოლოს მ. ხარშილაძის „ფილის“ „ქალაქის“ ალებით დასრულდა.

ანგარიშით 10:4 გაიმარჯვა „ლოკომოტივმა“. იგი ნახევარფინალში გავიდა. რკინიგზელები 29 ოქტომბერს უმასპინძლებენ ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდს, რომელიც ნახევარფინალში იმის წყალობით გავიდა, რომ მეოთხედფინალში მისი მეტოქე მოსკოვში სათამაშოდ არ ჩავიდა.

მეორე ნახევარფინალური ჯგუფი შექმნეს მოსკოვის გუნდებმა — „სლავამ“ და „ლოკომოტივმა“. უკანასკნელმა კიევში, დამატებით დროში მოუგო სსრ კავშირის ჩემპიონს — ადგილობრივ „პოლიტექნიკს“ — 7:0.

თბილისელები „ფილისთან“ ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: შ. ხარშილაძე, ცისკარიშვილი, სუთიაშვილი, წერეთელი, ჯვარიძე, ლიბრაძე, ბენდიაშვილი, პეტუხოვი, ზ. ხარშილაძე, ანთაძე, ელენტი, ავლასტიმოვი, ლიპარტელიანი, მ. ხარშილაძე, გიორგაძე.

## ძიუდოობა

**პარიზში** მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა ევროპის უძლიერეს ძიუდოისტთა გუნდური პირველობა. საბჭოთა ფალავნებმა ქვეჯგუფში დაამარცხეს ავსტრიის, გფრ-ის, ჰოლანდიისა და იუგოსლავიის გუნდები; ნახევარფინალურ შეხვედრაში სძლიეს პოლონელებს (5:1), ფინალში კი დამარცხდნენ საფრანგეთის ნაკრებთან (2:4).

**კიშინიოვში** გაიმართა „დინამოს“ ჭაბუკ ძიუდოისტთა საკავშირო პირად-გუნდური პირველობა, სადაც კარგად იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის 1961-62 წლებში დაბადებულმა ფალავნებმა. მათ გუნდური I ადგილი მოიპოვეს. II ადგილზე არიან ტაჯიკეთის, III-ზე — უკრაინის გუნდები.

„დინამოს“ ჩემპიონი 62 კილოგრამ წონით კატეგორიაში გახდა თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მოსწავლე თამაზ მარგველანი, რომელმაც გადამწყვეტ ორთაბრძოლაში დაამარცხა თანაგუნდელი თბილისის 49-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ზაურ გობოზოვი. ზაურ II ადგილს დასჯერდა. ასევე ორი ადგილზე გამოვიდა მძიმეწონოსანი მ. კაჰარავა. ბრინჯაოს მედლები ერგოთ ქუთაისელებს კიბორძანიძესა (მძიმე) და ა. ხვე... დელიანს (83 კგ-მდე). აგრეთვე თბილისელ ნ. პავლიაშვილს (... კგ-მდე).

ნორჩ მოჭიდავეებს ამ შეჯიბრებისთვის ამზადებდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ა. ნინიაშვილი და გ. ხაჩიძე.

**ზ. ქავთაძე.**

## ხელბურთი

ცსკა-ს ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა მოსკოვში გაიმარჯვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩში ჰელსინკის კლუბ „კიეენთან“ — 35:14 (15:4) და გა... ნაგრძობს ბრძოლას საპატიო ჯი... დოსათვის. პირველ მატჩში, რომელიც ფინეთის დედაქალაქში გაიმართა მოსკოველებმა წარმატებას მიაღწიეს ანგარიშით 35:19. მერვედფინალში ცსკა-ს მეტოქეს გამოავლენს 28 ოქტომბრის წილისყრა.

## „სპორტლოტო“

21 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ 42-ე ტირაჟები. აი, იღბლიანი ციფრები და სახეობები.

**6 — 49-დან**

**პირველი:** 2 (ავტოსპორტი), 8 (კრივი), 18 (რიკაობა), 20 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 29 (საპარაშუტო სპორტი), 30 (აფროსნობა). შეღავათიანი ბურთულა 47 (ჰოკეი ბურთით).

**მეორე:** 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 27 (მოტოსპორტი), 29 (საპარაშუტო სპორტი), 39 (სამბო), 42 (ძალოსნობა), 43 (ფარიკაობა). შეღავათიანი ბურთულა 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა).

**5 — 36-დან**

**პირველი:** 17 (ციგურები), ... (მძლეოსნობა), 22 (ცურვა), ... (მშვილდოსნობა), 33 (ფიგურული სრიალი).

**მეორე:** 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 7 (ტრეკზე ველორბოლა), 9 (წყალბურთი), 23 (წყალში ხტომა), 26 (სამბო).

## ველოსპორტი

**ერევანში** ... სსრ კავშირის თასის გათამაშება ველოსპორტში. გუნდურ ტურნირში ყველას აჯობა რსფსრ-ს ნაკრებმა, რომელმაც ოდნავ გაუსწრო ყირგიზეთის გუნდს. მესამე ადგილზე ... ყაზახეთის ველოსიპედისტები.

დიდ წარმატებას მიაღწია გორელმა ვ. ბერდიშევმა. 21 წლის სპორტსმენმა პირველად იმარჯვა ... დიდ შეჯიბრებაში — 81 ქულა. მას ქულით ჩამორჩა ა. ახოვი (ყირგიზეთი), მესამე პრიზიორია მასპინძელი — ა. გალსტიანი — 71 ქულა.

თასისთვის ბრძოლები 8 დღეს გაგრძელდა. ტურნირმა მწვრთნელებს საშუალება მისცა შეემოწმებინათ ახალგაზრდები, რომლებმაც ჩვენი ქვეყნის ნაკრები უნდა შეავსონ. სპორტსმენები ერთმანეთს 6 დღეს ეასპარეზებოდნენ ტრეკზე რბოლაში, ხოლო შემდეგ შეჯიბრება გზატკეცილზე გააგრძელეს.

120 კილომეტრზე ჯგუფური რბოლის დროს ბევრმა სცადა „გაქცევა“. მაგრამ მიზანს ვერც ერთმა ვერ მიაღწია. ბოლოს ფინიშთან ერთდროულად მივიდა 40-კაციანი ჯგუფი, რომელთა შორის ერთი წამით დაწინაურება შეძლო ვ. ახოვმა და პირველობაც მას დარჩა — 2:52.17.

კრიტერიუმში (78 კმ) მწვავე ბრძოლა გაჩაღდა, როგორც პირად, ისე გუნდური გამარჯვებისთვის. გუნდურში რსფსრ-ს ველოსიპედისტები ყველაზე ორგანიზებულნი აღმოჩნდნენ, ხოლო პირადში ამ გუნდის წევრმა ი. ბარინოვმა აჯობა ყველას.

## სროლა

**ფრუნზეში** დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი სასტენდო სროლაში, რომელიც წლეულს 2 ტურად გაიმართა. ადგილიდან ასპარეზობაში იმარჯვა მინსკელმა ა. გალკინმა, მან საერთო ჯამში 400-დან 390 ქულა მოაგროვა და ორი ქულით ჩამოიტოვა სვერდლოვსკელი ა. კუზნეცოვი. ბრინჯაოს მედალი ერგო ნ. სავინიჩს (ტაშკენტი) — 387 ქულა.

მრგვალ სტენდზე ბრძოლა უაღრესად დაძაბული გამოდგა. ოქროს მედლისთვის დავაში მოსკოველ ა. ჩერკასოვსა და სევასტოპოლელ ა. კონსტანტინოვს შორის ჩატარდა დამატებითი სერია, ვინაიდან თითეულს 392 ქულა დაუგროვდა. დამატებითმა სერიამ ჩერკასოვის უპირატესობით ჩაიარა და ოქროს მედალიც მას დარჩა.

დამატებითი სერია საჭირო გა... და ბრინჯაოს მედლის მფლობელ... გამოსავლენადაც. მისთვის კი ... ხი ოსტატი იბრძოდა, რომლებ... ორი ტურის ჯამში 389-389 ქუ... ჰქონდათ. საბოლოოდ „ბრინჯაო“ მოსკოველ ა. სოკოლოვს დარჩა.

ქალთა შორის ადგილიდან სრ... ლაში ჩემპიონი გახდა ლ. გურ... ჩი (როსტოვი) — 378 ქულა. მრგვალ სტენდზე სროლა მოი... ვორონეჟელმა ვ. ხლებნიკოვამ — 372 ქულა.

**რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-58-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-68-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-5...; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-61; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; კადრების — 93-97-26; საბჭოთა ... 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.